ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
აჭარის სატყეო სააგენტო

G E O R G I A
Ajara Autonomous Republic
Legal entity of public law
Forestry Agency of Ajara

ხულოს სატყეო ადმინისტრაცია
Forestry administration of Khulo

დაბა ხულო, მემედ აბაშიძის ქ №1
N1 M. Abashidze str., Borough Khulo,

N 14/85
30.05.2024

85-14-2-202405301233

სსიპ აჭარის სატყეო სააგენტოს უფროსს
ბატონ ჯუმბერ აბულაძეს

ბატონო ჯუმბერ,

თქვენს მიერ გადმოგზავნილ 2024 წლის 21 მაისის N09/844 კორესპონდენციაზე, რომელიც ეხება ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს ხულოს მუნიციპალიტეტში მაგისტრატი სასამართლოს 2021 წლის 24 აგვისტოს დადგენილება (საქმე) 211510021004756585 (4-31/21): ვიტალი მელაძის მიმართ ხე-ტყის კონფისკაციის ნაწილში შესასრულებლად და აჭარის სატყეო სააგენტოსათვის ხე-ტყის მდგომარეობის შესახებ (დასურათებული) ინფორმაციის მოწოდებას შემდგომი განკარგვის მიზნით გაცნობებთ, რომ მოქალაქე ვიტალი მელაძეზე ჩამორთმეული I ხარისხის სოჭის ჯიშის (სამასალე) ხე-ტყე საერთო მოცულობით არის 4.61 კბმ, 6 ცალი მორის სიგრძე არის 4 მეტრი, რომელთა წვ. თავ. დიამეტრებია 1) სჭ 44 სმ, 2) სჭ 47 სმ, 3) სჭ 44 სმ, 4) სჭ 52 სმ, 5) სჭ 42 სმ, 6) სჭ 46 სმ, მიღება-ჩაბარების აქტით დროებითი შენახვის მიზნით ჩაბარებულია ხულოს მუნიციპალიტეტის სოფ.ქვემო ვაშლოვანში მცხოვრებ მოქალაქე ვიტალი მელაძეზე.

ხე-ტყე მოჭრილია ღორჯომის სატყეოს N2 სამცველოს კვარტალ N42-ში და განთავსებულია დაბა ხულოში, ტბელ აბუსერიძის ქN12-ში სამანქანე გზიდან 15 მეტრში ღია ცის ქვეშ, განიცდის კლიმატურ ზემოქმედებას, დაკარგული აქვს სამასალე (I ხარისხის) თვისებები და გადასულია საშეშე (II ხარისხის) მდგომარეობაში.

ასევე გაწვდით ხე-ტყის მდგომარეობის ამსახველ ფოტომასალას, მიღება-ჩაბარების აქტს და დათვალიერების აქტს.

დანართი: 2 გვერდი და 1 „ZIP“ ფაილი.

პატივისცემით,

ნოდარი შანთაძე

დირექტორი
ხულოს სატყეო ადმინისტრაცია